საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის
ოქმი N 5

ქ. თბილისი, 21.06.2023, 11 საათი,
თსუ I კორპუსი, აუდიტორია N 201

სხდომას ესწრებოდნენ: აბაშიძე ზვიად, ბერულავა გიორგი, გელაშვილი სიმონ, გოგიაშვილი ლიანა, ებრალიძე თამარ, თვალთვაძე დარეჯან, ლომინაძე გიორგი, მეძმარიაშვილი ელენე, ნადარაია ელიზბარ, პატარიძე დიმიტრი, სანაძე რუსუდან, შალიკაშვილი მორის, ჭედია როინ.

დღის წესრიგი:

1. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ დოქტორანტ **ნინო ჩხაბერიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **გიული კალატოზიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **თათია ობოლაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **სუზი ცერცვაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
5. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ისტორია“ დოქტორანტ **მანუჩარ გუნცაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
6. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ისტორია“ დოქტორანტ **დიმიტრი სილაქაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
7. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მათემატიკა“ დოქტორანტ **გიორგი კაკულაშვილის**

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და მათემატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;

8. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **გივი ადამიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;

9. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **ირაკლი სვანაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;

10. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **ანა წიგნაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;

11. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **თამარ ხავთასის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება;

12. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **ნიკოლოზ ნებულიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება;

13. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებების პროექტის განხილვა;

14. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის დებულებაში ცვლილებების პროექტის განხილვა.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. ღია კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დარეჯან თვალთვაძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ დოქტორანტ **ნინო ჩხაბერიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანმა, თსუ ასოც. პროფესორმა ლაშა ლორიამ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ტრავმატიზმის ეპიდემიოლოგიისა და ავადობის ტვირთის შეფასება საქართველოში, საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის მაგალითზე“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ. ლ. ლორიამ ასევე ისაუბრა რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დოქტორანტის დისერტაცია მომზადდა აიოვას უნივერსიტეტის საერთაშორისო პროექტის ფარგლებში. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 6 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 93 ქულით.

აზრი გამოთქვა: ლიანა გოგიაშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტის მიერ წარმოდგენილია საკმაოდ საინტერესო კვლევა და პრინციპულად ახალი მიდგომებია გამოყენებული.

აზრი გამოთქვა: დარეჯან თვალთვაძემ აღნიშნა, რომ ჩატარებულია საკმაოდ აქტუალური კვლევა.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დ. თვალთვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭისყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ნინო ჩხაბერიძისთვის** საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

2. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დარეჯან თვალთვაძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **გიული კალატოზიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ ასოც. პროფესორმა სოლომონ ტაბუცაძემ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ფუტურიზმი: ქართული და ევროპული ლიტერატურული გამოცდილება“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დოქტორანტი არაერთხელ იმყოფებოდა საფრანგეთში კვლევის ჩასატარებლად და შესაბამისად, ნაშრომში გამოყენებული აქვს უცხოეთში მიკვლეული წყაროები. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის ყველა, 7-ვე წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 99 ქულით.

აზრი გამოთქვა: დარეჯან თვალთვაძემ აღნიშნა, რომ დისერტაციაში უხვად ვხვდებით ახალ წყაროებს, რომელიც დოქტორანტმა უცხოეთის არქივებში და წიგნთსაცავებში მოიძია. წარმოდგენილი დისერტაცია საკმაოდ ფასეული ნაშრომია.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დ. თვალთვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის

შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **გიული კალატოზიშვილისთვის** ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

3. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დარეჯან თვალთვაძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **თათია ობოლაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრმა, თსუ ასოც. პროფესორმა სოლომონ ტაბუცაძემ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ახალი მითოლოგია და ქართული სიმბოლიზმი ევროპულ კონტექსტში“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დოქტორანტი კვლევის ჩასატარებლად საფრანგეთში, სორბონას უნივერსიტეტში იმყოფებოდა, უამრავ საინტერესო მასალას მიაკვლია და შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის ყველა, 7-ვე წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 100 ქულით.

აზრი გამოთქვა: დარეჯან თვალთვაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილია საკმაოდ საინტერესო ნაშრომი.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დ. თვალთვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **თათია ობოლაძისთვის** ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

4. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დარეჯან თვალთვაძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **სუზი ცერცვაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრმა, თსუ პროფესორმა მანანა რუსიეშვილმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „სასტუმროს რეკლამა

დისკურსის ანალიზის თვალსაზრისით (ინგლისურენოვანი ინტერნეტმასალის საფუძველზე)“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის ყველა, 7-ვე წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 96 ქულით.

აზრი გამოთქვა: სიმონ გელაშვილი დაინტერესდა ნაშრომის სიახლით, კერძოდ, ფილოლოგიურ და სამართლებრივ ჭრილში კვლევით.

მოისმინეს: მანანა რუსიეშვილმა აღნიშნა, რომ კვლევა დაფუძნებული იყო ონლაინ-რეკლამაზე, კერძოდ, ჩატარდა Booking.com-ის ქართული და სხვა ქვეყნების გამოცდილების შედარება, გაირკვა რეკლამისთვის ენობრივი საჭიროებები. სამართლებრივი კუთხით საკითხი არ შესწავლილა.

აზრი გამოთქვა: დარეჯან თვალთვაძემ აღნიშნა რომ საკმაოდ აქტუალური თემაა, რომელსაც უცხოეთში აქტიურად იკვლევენ და მისასალმებელია ამ თემაზე კვლევა თსუ-შიც რომ განხორციელდა.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დ. თვალთვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **სუზი ცერცვაძისთვის** ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

5. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დარეჯან თვალთვაძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ისტორია“ დოქტორანტ **მანუჩარ გუნცაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ ასოც. პროფესორმა მიხეილ ბახტაძემ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ანტისამთავრობო გამოსვლები შიდა ქართლის მთიანეთში 1918-1921 წლებში“ - დაცვის პროცედურის და სამეცნიერო ღირებულების შესახებ; აღნიშნა, რომ ნაშრომი ენობრივად, სტილისტურად გაუმართავია, არის ბევრი შეცდომა და არ შეიცავს სამეცნიერო სიახლეს. პირადად მან ნაშრომი უარყოფითი ქულით შეფასა. მან ასევე აღნიშნა რეცენზენტების მიერ რეცენზიებში მოყვანილი არა ერთი შენიშვნის თაობაზე, თუმცა მათი შეფასებები დადებითი იყო და დისერტაციას მსვლელობა მიეცა საჯარო დაცვისთვის; აღნიშნა, რომ დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 9-დან 8 წევრი, მათგან ორმა, დისერტაცია შეაფასა უარყოფითი ქულით (42 და 48 ქულა). წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 63 ქულით.

აზრი გამოთქვა: მორის შალიკაშვილი დაინტერესდა დისერტაციის სამეცნიერო სიახლით.

მოისმინეს: მიხეილ ბახტაძემ აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით დისერტაციაში არანაირი სიახლე არაა.

აზრი გამოთქვა: დარეჯან თვალთვაძე დაინტერესდა დაცვის პროცედურით.

მოისმინეს: მიხეილ ბახტაძემ აღნიშნა, რომ დაცვამ წესის სრული დაცვით ჩაიარა.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დ. თვალთვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **მანუჩარ გუნცაძისთვის** ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

6. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დარეჯან თვალთვაძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ისტორია“ დოქტორანტ **დიმიტრი სილაქაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანმა, თსუ მოწვეულმა ლექტორმა მიხეილ ქართველიშვილმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეგულარული ჯარისა და სახალხო გვარდიის ორგანიზაცია და შეიარაღება“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 7 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 100 ქულით.

აზრი გამოთქვა: ზვიად აბაშიძემ აღნიშნა, რომ ქართული ისტორიოგრაფიისთვის მნიშვნელოვანი ნაშრომია.

აზრი გამოთქვა: დარეჯან თვალთვაძემ აღნიშნა, რომ დოქტორანტი კვლევის გარდა ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, აქვეყნებს სტატიებს სხვადასხვა ჟურნალებში და ხელს უწყობს საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციას.

აზრი გამოთქვა: ელენე მეძმარიაშვილმა აღნიშნა, რომ დიმიტრი სილაქაძის ნაშრომი ნამდვილად იმსახურებდა დისერტაციის დაცვის კომისიის შეფასებას - 100 ქულას.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დ. თვალთვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **დიმიტრი სილაქაძისთვის** ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

7. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დარეჯან თვალთვაძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მათემატიკა“ დოქტორანტ **გიორგი კაკულაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) მათემატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ ასოც. პროფესორმა ოთარ ჯოხაძემ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „კვაზიკონფო-რმული ასახვის ინვარიანტები“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან აღნიშნა, რომ დოქტორანტს დისერტაციასთან დაკავშირებულ საკვლევ საკითხზე გამოქვეყნებული აქვს 7 პუბლიკაცია, მათ შორის 5 თანაავტორის გარეშე და 1 მონოგრაფია. ერთი სტატია გამოქვეყნებული აქვს მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალში. აღნიშნა, რომ დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 9 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 98 ქულით.

აზრი გამოთქვა: ელიზბარ ნადარაიამ აღნიშნა, რომ დოქტორანტის მიერ წარმოდგენილია უდავოდ საინტერესო დისერტაცია.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დ. თვალთვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **გიორგი კაკულაშვილისთვის** მათემატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

8. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დარეჯან თვალთვაძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **გივი ადამიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანმა, თსუ ასოც. პროფესორმა ნათია ჩიტაშვილმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაცია და მისი სამართლებრივი შედეგები ქართული, გერმანული და ევროპული კავშირის კონკურენციის სამართლის მიხედვით“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 7 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 83 ქულით.

აზრი გამოთქვა: მორის შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ ესაა მეორე ნაშრომი კონკურენციის სამართალში, რომელიც დიდ წვლილს შეიტანს დარგის განვითარებაში. დოქტორანტი საუკეთესოდ ფლობს გერმანულ ენას და შესაბამისად, დისერტაციაში გამოყენებული აქვს არა ერთი გერმანულენოვანი მასალა.

აზრი გამოთქვა: სიმონ გელაშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტის მიერ წარმოდგენილია საკმაოდ მოცულობითი ნაშრომი.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დ. თვალთვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **გივი ადამიასთვის** სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

9. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დარეჯან თვალთვაძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **ირაკლი სვანაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრმა, სამართლის დოქტორმა გიორგი სვანაძემ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „დელიქტური გენერალური დათქმა და პასუხისმგებლობა წმინდა ეკონომიკური ზიანისათვის“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 5 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 75 ქულით.

აზრი გამოთქვა: მორის შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი ნაშრომია შესრულებული აქტუალურ თემაზე. დოქტორანტს კრიტიკულად აქვს განხილული სასამართლოს ზოგიერთი გადაწყვეტილება და გამოტანილი აქვს განსხვავებული დასკვნები.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დ. თვალთვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ირაკლი სვანაძისთვის** სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

10. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დარეჯან თვალთვაძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **ანა წიგნაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანმა, თსუ ასისტენტ-პროფესორმა მარიამ ხოფერიამ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „საკუთრების უფლების შეძენის გზები ძველ ქართულ სამართალში (სამხედრო ნადავლი, ნანადირევი, ნაპოვარი, მონალექი“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 6 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 94 ქულით.

აზრი გამოთქვა: დარეჯან თვალთვაძემ აღნიშნა, რომ საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაშრომია, რომელიც იკვლევს ძველ ქართულ წყაროებს.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დ. თვალთვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ანა წიგნაძისთვის** სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

11. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დარეჯან თვალთვაძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **თამარ ხავთასის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „ინვესტორის უფლების დაცვა საინვესტიციო ფონდში (ინვესტორის ინტერესების დაცვის ღონისძიების ანალიზი ქართული სამართლის UCITS-ის დირექტივასთან დაახლოების შემდეგ)“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი ბურდული - თსუ პროფესორი, სამართლის დოქტორი).

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დარეჯან თვალთვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) გიორგი მახარობლიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ბ) სალომე ქავთარაძე - თსუ მოწვეული ლექტორი, სამართლის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ბესარიონ ზოიძე - თსუ პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ბ) გიორგი რუსიაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;
გ) ქრისტოფ ა. კერნი - პროფესორი, LL.M. (ჰარვარდი), ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი, საზღვარგარეთის და საერთაშორისო კერძო და ეკონომიკის სამართლის ინსტიტუტის დირექტორი;
დ) გიორგი სვანაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;
ე) ნონა ზუბიტაშვილი - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;
ვ) თამარ ზამბახიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;
ზ) ეკა ზარნაძე - საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი.

12. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დარეჯან თვალთვაძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **ნიკოლოზ ნებულიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „სამართლის გამოყენების შედარებითი ანალიზი საერთაშორისო კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, როდესაც მხარეებს გამოსაყენებელი სამართალი არ აურჩევიათ“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი სვანაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი).
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დარეჯან თვალთვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: დამტკიცდეს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:
რეცენზენტები:
ა) გიორგი ცერცვაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;
ბ) ზვიად გაბისონია - თსუ ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი.
სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:
ა) ზურაბ ძლიერიშვილი - თსუ პროფესორი, სამართლის დოქტორი;
ბ) ირაკლი ბურდული - თსუ პროფესორი, სამართლის დოქტორი;
გ) თამარ ზარანდია - თსუ ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;
დ) დიანა ბერეკაშვილი - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი;
ე) ლევან გოთუა - თსუ მოწვეული ლექტორი, სამართლის დოქტორი;
ვ) თამარ ზამბახიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;
ზ) ეკა ზარნაძე - საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი.

13. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დარეჯან თვალთვაძემ საბჭოს განსახილველად წარუდგინა მათ მიერ შემუშავებული

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების ცვლილებების პროექტი. მან აღნიშნა, რომ პროექტმა მიიღო საბოლოო სახე და შეთანხმებულია თსუ იურიდიულ დეპარტამენტთან. აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენის მიზნით განსახილველად უნდა გაიგზავნოს ფაკულტეტების საბჭოებსა და დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დარეჯან თვალთვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ შემუშავებული საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების ცვლილებების პროექტი აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენის მიზნით განსახილველად გაეგზავნოთ თსუ ფაკულტეტების საბჭოებს და დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს.

14. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დარეჯან თვალთვაძემ საბჭოს განსახილველად წარუდგინა მათ მიერ შემუშავებული საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის დებულებაში ცვლილებების პროექტი. მან აღნიშნა, რომ პროექტი დასამტკიცებლად ეგზავნება თსუ წარმომადგენლობით საბჭოს.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დარეჯან თვალთვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის დებულებაში ცვლილებების და დამატებების პროექტი დასამტკიცებლად გადაიგზავნოს თსუ წარმომადგენლობით საბჭოში.

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე
დარეჯან თვალთვაძე

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი
მორის შალიკაშვილი